ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4405584

ნომერი: AR1660182

თარიღი : 07.02.2019

გაცემის თარიღი : 07.03.2019

გაცნობის თარიღი : 15.03.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჟიული შარტავას ქუჩა , N 3; ქალაქი თბილისი , თაბუკაშვილის ქუჩა N7; 9; 11; 11ა; 16; 18; 19;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბორის ნატროშვილი პ/ნ 01024041589
- თბილისი ლ.თაბუკაშვილის ქ. N 7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 06 აგვისტოს N03/839 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 07

თებერვლის №AR1660182 განცხადებით მომართა ბორის ნატროშვილმა. განმცხადებელმა მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 06 აგვისტოს N03/839 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 06 აგვისტოს N03/839 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ვაკესაბურთალოს რაიონში, თაბუკაშვილის ქუჩა №7, 9, 11, 11ა, 16, 18, 19-ში ინდივიდუალური ბინათმშენებლობა ამხანაგობა ,,თაბუკაშვილი 88''-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე N1 და N2 ბლოკების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. სამსახურის 2007 წლის 13 სექტემბრის №6/837 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა №6/837-1. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2007 წლიდან 20 სექტემბრიდან 2010 წლის 20 მარტამდე.
სამსახურის 2012 წლის 10 ოქტომბრის №386797 ბრძანებით ცვლილება შევიდა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 06 აგვისტოს N03/839 ბრძანებაში საპროექტო შენობის №1 და №2 ბლოკების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში.
განმცხადებლის განმარტებით, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 06 აგვისტოს N03/839 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 06 აგვისტოს N03/839 ბრძანება და ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 27 სექტემბერს №386797 ბრძანებით შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაცია ურთიერთშეუსაბამოა და აღნიშნულიდან გამომდინარე, ითხოვს ცვლილების შეტანას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 06 აგვისტოს N03/839 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საოფისე ფართობი: 4874.94 კვ.მ, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი: 2333.69 კვ.მ. საზაფხულო ფართობი: 2636.00 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობი: 5950.90 კვ.მ. დამხმარე ფართობი: 249.7 კვ.მ. ავტოსადგომის ფართობი: 3424.82 კვ.მ. სასაწყობე ფართობი: 217.43 კვ.მ. საერთო ფართობი: 19687.48 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 06 აგვისტოს N03/839 ბრძანებით შეთანმხებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით.
3. ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 06 აგვისტოს N03/839 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 06 აგვისტოს N03/839 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.